ნონა პოპიაშვილი
ინგლისური ენის ექსპერტ-კონსულტანტი
სსიპ ,, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი ინგლისურ ენაში

მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერულ ი წინსვლის სქემა უპირველეს ყოვლისა გულისხმობსსკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და წახალისებას.
ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ინგლისური ენის** მასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას.
სქემის მიხედვით დადგენილია სამოდელო გაკვეთილის ტიპებიც.
ეს არის:
1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

4-საათიანი მასტერკლასის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება სამოდელო გაკვეთილების ნიმუშები საბაზო-საშუალო საფეხურის **ინგლისური ენის** მასწავლებლებისთვის .
გაკვეთილის თემა შერჩეული იქნება ეროვნული სასწავლო გეგმისა და გრიფირებული სახელმძღვანელოების შესაბამისად. წარმოდგენილი საკითხები განიხილება სქემის ჭრილში. გამოყენებული იქნება ისტ-ის კომპეტენციები.

მასტერკლასის პირველ ეტაპზე მასწავლებლებს წარმოვუდგენთ ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილს (დადგენილი ოთხი გაკვეთილიდან):

1. **პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;**
2. **გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი**

მასტერკლასის შედეგად:
მონაწილეები გაეცნობიან სამოდელო გაკვეთილებს და მათთვის პრობლემურ საკი თხებთან დაკავშირებით მიიღებენ რეკომენდაციებს.
ეს იქნება სამოდელო გაკვეთილის იმიტირება, რომლის შემდეგაც მონაწილეები გაანა ლიზებენ მას ორი პოზიციიდან - მოსწავლეების და მასწავლებლების.
პედაგოგებს მიეცემათ რეკომენდაციები სამოდელო გაკვეთილების ჩატარებასთან და კავშირებით.